



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 34

07/05/2018

#### თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2018 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 აპრილის N 45/2644 წერილის საფუძველზე გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო